



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია

მონიტორინგის შედეგები

(31.03.2019 – 19.05.2019)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების, საკრებულოს შუალედური არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის მერების რიგგარეშე არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2019 წლის 31 მარტიდან 19 მაისამდე პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი 21 სამაუწყებლო არხს და საერთო ლიცენზიის მქონე რადიომაუწყებლებს ჩაუტარდა.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;
- ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების, საკრებულოს შუალედური არჩევნებისა და მუნიციპალიტეტის მერების რიგგარეშე არჩევნების მედია მონიტორინგს 13 მონიტორი ახორციელებს. მონიტორინგში კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები მონაწილეობენ, რომლებიც მონიტორინგის დაწყებამდე სპეციალურად მომზადდნენ.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში, ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე.

დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ. პირდაპირ დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, ირიბად დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.

მონიტორინგის შედეგებში ინფორმაცია ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც. კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დარეგისტრირებული ე.წ. ტექნიკური კანდიდატების საარჩევნო კამპანია:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საერთო ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ისე, რომ ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს.

სააგნარიშო პერიოდში სხვადასხვა მაუწყებლის ეთერში განთავსდა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც არ ემსახურებოდა მათივე კანდიდატების არჩევის ხელშეწყობას და არ მოუწოდებდა ამომრჩეველს მათი მხარდაჭერისკენ. აღნიშნული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები მხოლოდ სხვა საარჩევნო სუბიექტების არჩევის ხელშემწყობ წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამებს ანთავსებდნენ.

სააგნარიშო პერიოდში აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა შემდეგი საარჩევნო სუბიექტების მხრიდან:

1. „მომრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ ანთავსებდა სანდრა რულოვსის მხარდამჭერ რეკლამებს.
2. „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველო“ ანთავსებდა სანდრა რულოვსის და ირაკლი ჯორბენადის მხარდამჭერ რეკლამებს.

3. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ ანთავსებდა სანდრა რულოვსის და ირაკლი ჯორბენაძის მხარდამჭერ რეკლამებს.
4. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ ანთავსებდა სანდრა რულოვსის და ირაკლი ჯორბენაძის მხარდამჭერ რეკლამებს.
5. „მომრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ ანთავსებდა შალვა შავგულიძის მხარდამჭერ რეკლამებს.
6. „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ ანთავსებდა მარიამ მაჩაბერიძისა და ზურაბ კუპატაძის მხარდამჭერ რეკლამებს.
7. „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ ანთავსებდა გირგოლ გეგელიას მხარდამჭერ რეკლამებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება იმ კანონებს, რომლის მიხედვითაც საარჩევნო პროცესების ზედამხედველობას ახდენს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ის საფრთხის შემცველია პოლიტიკური პლურალიზმისთვის და დისკრიმინაციულია რიგი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიმართ. კომისიას მიაჩნია, რომ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დარეგისტრირებული ე.წ. ტექნიკური კანდიდატების მხრიდან წინასაარჩევნო რეკლამის ამგვარი გამოყენება არღვევს სამართლიანობის პრინციპს და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. კერძოდ, სხვადასხვა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის კანონით მინიჭებული 3 საათში ერთხელ არაუმეტეს 90 წამის ნაცვლად, სხვა კანდიდატებთან შედარებით, რამდენჯერმე მეტი დრო ეთმობოდათ.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ უფასო პოლიტიკური რეკლამის ლიმიტის გაზრდა: საანგარიშო პერიოდში კომისიის ყურადღება მიიქცია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის დროის ლიმიტის გაზრდამ. მაუწყებელმა უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ლიმიტი, რომელიც ყოველ სამ საათში 7,5 წუთს შეადგენდა, პირველ ეტაპზე 9 წუთამდე, ხოლო წინასაარჩევნო პერიოდის ბოლო კვირას 12 წუთამდე გაზარდა. აღნიშნული გაზრდილი ლიმიტების გამოყენება ხორციელდებოდა რამდენიმე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ ისე, რომ საკუთარ უფასო სარეკლამო დროს სხვა საარჩევნო სუბიექტების კანდიდატების არჩევის ხელშეწყობისთვის მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონს არ ეწინააღმდეგება, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ის საფრთხის შემცველია პოლიტიკური პლურალიზმისთვის. გარდა ამისა, საერთო ეროვნული მაუწყებლის მიერ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის სავალდებულო ლიმიტის მნიშვნელოვნად გაზრდამ, შესაძლოა გამოიწვიოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ ფასიანი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის შესყიდვის მოთხოვნის შემცირება, რაც უარყოფითად აისახება შედარებით მცირე ბაზრის წილის მქონე მაუწყებლებზე.

განსაკუთრებით კი რეგიონალური მაუწყებლების ფინანსურ შემოსავლებზე მოახდენს გავლენას.

წინასაარჩევნო პერიოდში დისკრიმინაციული მიდგომის თავიდან აცილების მიზნით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია ახსენებს მაუწყებლებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოუწოდებს მათ, რომ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის საეთერო დრო სამართლიანად, თანაბრად და არადისკრიმინაციულად გადაანაწილონ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე ისე, რომ ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესის დარღვევით გამოქვეყნების გამო 5 ორგანიზაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის (საქალაქო/რაიონულ) სასამართლოს გადაუგზავნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.

2019 წლის 17 მაისს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის დაკვეთით „IPSOS S.A.“-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება მოხდა. აღნიშნული კვლევის განთავსება 17 მაისს მთელი დღის განმავლობაში ხორციელდებოდა, რითიც 48 საათიანი აკრძალვის ვალდებულება იქნა დარღვეული. ამასთან, რიგი სააგენტოების მიერ 17 მაისს ამავე კვლევის გავრცელება მოხდა, რითაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 მუხლი იქნა დარღვეული.

აღნიშნული დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შემდეგი ორგანიზაციების მიმართ შედგა:

- შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“;
- შპს „პირველი რადიო“;
- შპს „თავისუფალი გაზეთი+ (ipress.ge);
- შპს „ჟურნალისტთა კავშირი ხალხის ხმა“;
- შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“;

„ობიექტივის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა, რომლის წამყვანებიც არიან პოლიტიკური გაერთიანება პატრიოტთა ალიანსის წევრები დავით თარხან-მოურავი და ირმა ინაშვილი.

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და თავი შეიკავოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან პოლიტიკური პარტიის წევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამებში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით მონაწილეობაზე.

წინასაარჩევნო დებატები – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით. საანგარიშო პერიოდის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მთელ რიგ მაუწყებლებს ან არ განუთავსებიათ წინასაარჩევნო დებატები ან მათ მიერ განთავსებულ დებატების პროგრამებში მონაწილეობა არ მიუღიათ ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. წინასაარჩევნო დებატების განთავსების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, კომისიამ მაუწყებლებს შესაბამისი ახსნა-განმარტებების წარმოდგენის მიზნით მიმართა. მაუწყებლებისაგან მიღებული პასუხების შესწავლის შედეგად კომისია გაატარებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

საარჩევნო კანდიდატები არაპოლიტიკურ გადაცემებში: კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

მაუწყებლების მხრიდან კანდიდატებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა შემდეგ არაპოლიტიკურ გადაცემებში მიეცათ:

„რუსთავი 2“: საანგარიშო პერიოდში გასართობ გადაცემაში „ნანუკას შოუ“ მონაწილეობდნენ შემდეგი კანდიდატები: დ/კ კობა დავითაშვილი, სანდრა რულოვსი (გაერთიანებული ოპოზიცია), შალვა შავგულიძე (თავისუფალი დემოკრატები). გადაცემა „პროფილში“ მონაწილეობდნენ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი სანდრა რულოვსი და თავისუფალი საქართველოს კანდიდატი გიორგი წულაია. გადაცემაში „ფარული კონვერტი“ თავისუფალი საქართველოს კანდიდატი გიორგი წულაია.

„ტელემედი“: საანგარიშო პერიოდში მაჟორიტარობის კანდიდატები ფიგურირებდნენ გასართობ გადაცემებში. გადაცემაში „კულნარიული დუელი“ მონაწილეობდნენ ლადო კახაძე (ქართული ოცნება) და დ/კ სოფიო ხორგუანი. გადაცემაში ღამის შოუ მონაწილეობდა ლადო კახაძე (ერთხელ).

„ტვ პირველი“: საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მძიმე კაცთან“ სტუმრობდა ლადო კახაძე (ქართული ოცნება) და შალვა შავგულიძე (თავისუფალი დემოკრატები).

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 32.3%, ქართულ ოცნებას - 32.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 29%, ქართულ ოცნებას - 26.9%, ევროპულ საქართველოს – 11.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა **„აქტუალური თემა“**. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში დებატები გაიმართა: ქართული ოცნების, გირჩის, თავისუფალი დემოკრატიის, დამოუკიდებელი კანდიდატების სოფიო ხორგუანს და კობა დავითაშვილს შორის, ქართული ოცნების, თავისუფალი საქართველოს, თავისუფალი დემოკრატიის და დამოუკიდებელ კანდიდატ გრიგოლ გეგელიას შორის, სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლეს, პარტია საქართველოს, დამოუკიდებელ კანდიდატებს იოსებ კობერიძესა და თამარ ალფაიძეს შორის, თავისუფალი საქართველოს, მოძრაობა სოციალური სამართლიანობისათვის, დამოუკიდებელ კანდიდატებს სოფიო ხორგუანს, კობა დავითაშვილსა და გრიგოლ გეგელიას შორის, პატრიოტთა ალიანსის, ქართული ოცნების და თავისუფალი საქართველოს შორის, ქართული ოცნების, ევროპული საქართველოს, და თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზის შორის.



გადაცემაში **„დღის თემა“** სტუმრად მოწვეული იყვნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: ქართული ოცნება (ორჯერ) და გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ).



გადაცემას **„თავისუფალი ხედვა“** სტუმრობდა ქართული ოცნება (ერთხელ).


ახალი ამბების გადაცემაში **„მომხე“** ინტეგრირებულია ბლოკი **„შუალედური არჩევნები-2019“**. აღნიშნულ ბლოკს საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: თავისუფალი დემოკრატიები (ერთხელ), ქართული ოცნება (ერთხელ), სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე (ერთხელ), მოძრაობა სოციალური სამართლიანობისათვის (ერთხელ), პარტია საქართველო (ერთხელ), დამოუკიდებელი კანდიდატები იოსებ კობერიძე (ერთხელ), ლევან იოსელიანი (ერთხელ) და თამარ ალფაიძე (ერთხელ).

„საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 33.6%, ქართულ ოცნებას – 33.4%, ევროპულ საქართველოს - 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 41.2%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 34.8%, ევროპულ საქართველოს - 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„აჭარის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„მთავარი აჭარაში“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ოთხჯერ), პატრიოტთა ალიანსი (ორჯერ). აღნიშნული გადაცემის ფარგლებში, დებატები შედგა: ქართული ოცნების, გაერთიანებული ოპოზიციის და პატრიოტთა ალიანსის შორის, ქართული ოცნების და გაერთიანებული ოპოზიციის შორის.


საინფორმაციო გამოშვება **„მთავარში“** საანგარიშო პერიოდში მოწვეულნი იყვნენ ყველა საარჩევნო სუბიექტები, თუმცა გადაცემის წამყვანის განცხადებით გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ქართული ოცნების, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა როლანდ აბულაძემ.



„აჭარის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„სათქმელი“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ და დებატები შედგა ქართული ოცნების, გაერთიანებული ოპოზიციის, პარტია საქართველოს და დამოუკიდებელ კანდიდატ როლანდ აბულაძეს შორის.



„აჭარის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „თვითმმართველობის მიმართულებით“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა ქართული ოცნება (ორჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტელეიმედი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 59.5%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 23.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 71.3%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პირისპირ“ სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), თავისუფალი დემოკრატები (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ორჯერ) და ევროპული საქართველო (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატები შედგა ერთხელ ქართული ოცნების და თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლებს შორის.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა „იმედი ლაივს“ სტუმრობდნენ ქართული ოცნების (სამჯერ), გირჩის (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიციის (ორჯერ), პატრიოტთა ალიანსის (ერთხელ) და ევროპული საქართველოს (ერთხელ) წარმომადგენლები.


გადაცემაში „იმედის კვირა“ დრო დაეთმო გაერთიანებული ოპოზიციას (ოთხჯერ), ქართულ ოცნებას (ოთხჯერ), ევროპულ საქართველოს (სამჯერ), თავისუფალ საქართველოს (ორჯერ), პატრიოტთა ალიანსს (ერთხელ) და გირჩს (ერთხელ).



საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების პროგრამაში „ქრონიკა“ ინტეგრირებული იყო სტუმრების ბლოკი, რომლის ფარგლებში დებატები გაიმართა ქართული ოცნების და ევროპული საქართველოს შორის.



საანგარიშო პერიოდში მაჟორიტარობის კანდიდატები ფიგურირებდნენ გასართობ გადაცემებში. გადაცემაში „კულინარიული დუელი“ მონაწილეობდნენ ლადო კახაძე (ქართული ოცნება) და დ/კ სოფიო ხორგუანი (ერთხელ). გადაცემაში ღამის შოუ მონაწილეობდა ლადო კახაძე (ერთხელ).

„იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 49.9%, ქართულ ოცნებას – 25.5%, ევროპულ საქართველოს - 14.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 49.3%, ქართულ ოცნებას – 20.2%, ევროპულ საქართველოს - 18.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევანი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია

ექვსჯერ), ევროპული საქართველო (ხუთჯერ), დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველოსთვის (სამჯერ), ქართულ ოცნება (ორჯერ), რესპუბლიკელები (სამჯერ), ლეიბორისტული პარტია (ერთხელ), თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ). გადაცემის წამყვანის განცხადებით ქართული ოცნების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს დებატებში მონაწილეობაზე.

„რუსთავი 2“-ის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამას „კვირის აქცენტები“ სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია (შვიდჯერ), ევროპული საქართველო (ხუთჯერ), ქართულ ოცნება (სამჯერ), რესპუბლიკელები (ორჯერ), შენების მოძრაობა (ერთხელ), ლეიბორისტული პარტია (ერთხელ), თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ) და დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველოსთვის (ორჯერ).

„რუსთავი 2“-ის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამა „P.S“-ში განთავსებულ სიუჟეტებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას (ექვსჯერ), ევროპულ საქართველოს (ხუთჯერ), ქართულ ოცნებას (ხუთჯერ), ლეიბორისტულ პარტიას (ორჯერ), დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველოსთვის (ორჯერ), თავისუფალ დემოკრატებს (სამჯერ), დ/კ ბაქარ ხიჯაკაძეს (ერთხელ), დ/კ დავით ჭუმბურიძეს (ერთხელ).



„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულ პროგრამა „შაბათის კურიერი“ ინტეგრირებულია სტუმრის ბლოკი, სადაც დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას (ექვსჯერ), გაერთიანებულ ოპოზიციას (ხუთჯერ), ევროპულ საქართველოს (ოთხჯერ), შენების მოძრაობას (ერთხელ), ლეიბორისტულ პარტიას (ერთხელ), დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველოსთვის (ერთხელ) და რესპუბლიკელებს (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გასართობ გადაცემაში „ნანუკას შოუ“ მონაწილეობდნენ შემდეგი კანდიდატები: დ/კ კობა დავითაშვილი, სანდრა რულოვსი (გაერთიანებული ოპოზიცია), შალვა შავგულიძე (თავისუფალი დემოკრატები). გადაცემა „პროფილში“ მონაწილეობდნენ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი სანდრა რულოვსი და თავისუფალი საქართველოს კანდიდატი გიორგი წულაია. გადაცემაში „ფარული კონვერტი“ თავისუფალი საქართველოს კანდიდატი გიორგი წულაია.


„რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში საანგარიშო პერიოდში შევიდა პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველოს საჩივარი სამართლიანობისა და თანაბრობის პრინციპების დარღვევის გამო.

„რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




Prime Time



სხვა დრო





შპს „ტელეკომპანია პირველი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 39.7%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 28.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 41.9%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 27.2%, ევროპულ საქართველოს – 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „რეაქცია“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა: ქართული ოცნება (რვაჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (შვიდჯერ), ევროპული საქართველო (ხუთჯერ), თავისუფალი დემოკრატები (ხუთჯერ), ლეიბორისტული პარტია (ორჯერ), შენების მოძრაობა (ერთხელ), პატრიოტთა ალიანსი (ერთხელ), კანონი და სამართალი (ერთხელ), დ/კ კობა დავითაშვილი (ორჯერ) და დ/კ გრიგოლ გეგელია (ერთხელ). აქედან დებატში მონაწილეობა მიიღეს კანონი და სამართალი (ერთხელ), ევროპული საქართველო (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ) და დ/კ კობა დავითაშვილი (ერთხელ).

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას „პოლიტმეტრი“ სტუმრობდა: ქართული ოცნება (ექვსჯერ), ევროპული საქართველო (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ორჯერ), თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ), რესპუბლიკელები (ერთხელ), შენების მოძრაობა (ერთხელ) და დ/კ ლევან იოსელიანის წარმომადგენელი (ერთხელ).

გადაცემაში „საქმიანი დილა“, დრო დაეთმო ქართული ოცნებას (ორჯერ), ევროპულ საქართველოს (ორჯერ), გირჩს (ერთხელ) და დ/კ დავით ჭიჭინაძეს (ერთხელ).

გადაცემაში „საქმის კურსი“ დრო დაეთმო ქართულ ოცნებას (სამჯერ) და ევროპულ საქართველოს (ერთხელ).

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას „ხალხის პოლიტიკა“ სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), ევროპული საქართველო (ორჯერ), გირჩი (ორჯერ), რესპუბლიკელები (ერთხელ), კანონი და სამართალი (ორჯერ) და დ/კ ლევან იოსელიანის, სოფიო ხორგუანის, გრიგოლ გეგელიას და კობა დავითაშვილის წარმომადგენლები. აქედან დებატში მონაწილეობა მიიღეს ქართულმა ოცნებამ (ორჯერ), ევროპულმა საქართველომ (ერთხელ), გირჩმა (ორჯერ), კანონი და სამართალამა (ერთხელ) და დ/კ ლევან იოსელიანის, სოფიო ხორგუანის, გრიგოლ გეგელიას და კობა დავითაშვილის წარმომადგენლებმა.

გადაცემაში „ანალიტიკა“ დრო დაეთმო ევროპულ საქართველოს (ორჯერ) და ქართულ ოცნებას (ორჯერ).

გადაცემას „მძიმე კაცთან“ სტუმრობდა ქართული ოცნების (ერთხელ) კანდიდატი და თავისუფალი დემოკრატების (ერთხელ) კანდიდატი.

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „დღის ამბები“. აღნიშნულ გადაცემაში დრო დაეთმოთ: ქართულ ოცნებას (ორმოცდაშვიდეჯერ), ევროპული საქართველოს (ოცდაორჯერ), გაერთიანებულ ოპოზიციას (ოცდასამჯერ), თავისუფალ დემოკრატებს (შვიდეჯერ), გირჩს (ხუთჯერ), შენების მოძრაობას (სამჯერ), რესპუბლიკურ პარტიას (ორჯერ), კანონი და სამართალს (ორჯერ), დ/კ ლევან იოსელიანის წარმომადგენელს (ორჯერ), პატრიოტთა ალიანსს (ერთხელ), დ/კ დავით ჭიჭინაძეს (ორჯერ), სოფიო ხორგუანს (ერთხელ) და გრიგოლ გეგელიას (ერთხელ).

გადაცემაში „პირველამდე ნინო არაზაშვილთან ერთად“ დრო დაეთმო ევროპულ საქართველოს (ერთხელ).


გადაცემას „ღამის ამბები“ სტუმრობდა თავისუფალი დემოკრატების (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე გადაცემის ფარგლებში დრო დაეთმო თავისუფალი დემოკრატების (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიციის (ერთხელ) და ქართული ოცნების (ერთხელ) საარჩევნო სუბიექტების განხილვას.

გადაცემაში „პირველები“ დრო დაეთმო ქართულ ოცნებას (ხუთჯერ) გაერთიანებულ ოპოზიციას (ორჯერ), ევროპულ საქართველოს (ერთხელ) და პატრიოტთა ალიანსს (ერთხელ).


„ტვ პირველს“ თვითრეგულირების მექანიზმში საანგარიშო პერიოდში შევიდა პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველოს საჩივარი სამართლიანობისა და თანაბრობის პრინციპების დარღვევის გამო.

„ტვ პირველის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time




სხვა დრო




Prime Time



სხვა დრო





შპს „სტუდია მანესტრო“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართული ოცნება – 18.6%, გაერთიანებული ოპოზიცია - 17.4%, ევროპული საქართველო – 13.2%, გირჩი - 11.4%, თავისუფალი დემოკრატები - 8.7%, დ/კ - სოფიო ხორგუანი-6.7%, დ/კ ლევან იოსელიანი - 6.6%, თავისუფალი საქართველო - 5.8%, დ/კ კობა დავითაშვილი - 3.6%, დ/კ გრიგოლ გეგელია - 3.6%, მოძრაობა თავისუფალი საქართველოთვის - 2.3%, დ/კ დავით ჭუმბურიძე - 2.1% (იხ. დიაგრამა).



საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართული ოცნება – 19.1%, გაერთიანებული ოპოზიცია - 17.5%, ევროპული საქართველო – 15.2%, გირჩი - 11.7%, თავისუფალი დემოკრატები - 9.7%, დ/კ სოფიო ხორგუანი - 4.9%, დ/კ ლევან იოსელიანი - 4.4%, თავისუფალი საქართველო - 4.1%, დ/კ კობა დავითაშვილი - 3.9%, დ/კ გრიგოლ გეგელია - 3.6%, მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის - 3.6%, დ/კ დავით ჭუმბურიძე - 2.2% (იხ. დიაგრამა).

„მანესტროს“ ეთერში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“, რომელშიც ინტეგრირებულია სტუმრის ბლოკი. საანგარიშო პერიოდში სტუმრის ბლოკს სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (შვიდჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ხუთჯერ), ევროპული საქართველო (ოთხჯერ), გირჩი (ორჯერ), დამოუკიდებელი კანდიდატი ლევან იოსელიანი (ერთხელ).


სტუდია „მანესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „მანესტროელები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (რვაჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ხუთხჯერ), ევროპული საქართველო (ოთხჯერ), თავისუფალი საქართველო (ორჯერ), თავისუფალი დემოკრატები (ორჯერ), დამოუკიდებელი კანდიდატი კობა დავითაშვილი (ორჯერ), დამოუკიდებელი კანდიდატი-სოფიო ხორგუანი (სამჯერ), დამოუკიდებელი კანდიდატი გრიგოლ გეგელია (ორჯერ), დამოუკიდებელი კანდიდატი ლევან იოსელიანი (ორჯერ).

სტუდია „მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


სტუდია „მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება,




Prime Time



სხვა დრო





ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: საქართველოს პატრიოტთა ალიანსს – 62.8%, ქართულ ოცნებას - 28.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: საქართველოს პატრიოტთა ალიანსს – 63.1%, ქართულ ოცნებას - 27.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „**დღის სტუდია**“ სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (თოთხმეტჯერ), ქართული ოცნება (ცხრაჯერ), მოძრაობა სოციალური სამართლიანობისთვის (სამჯერ), მემარცხენე ალიანსი (სამჯერ), სოციალ დემოკრატები (ორჯერ), თავისუფალი საქართველო (ორჯერ), დემოკრატიული მოძრაობა (ერთხელ), ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა (ერთხელ) და დამოუკიდებელი კანდიდატები სოფიო ხორგუანი, კობა დავითაშვილი, იოსებ კობერიძე, გრიგოლ გეგელია, გელა ლილუაშვილი.

გადაცემას „**სადამოს სტუდია**“ სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (თორმეტჯერ), თავისუფალი საქართველო (ექვსჯერ), სოციალურ დემოკრატები (სამჯერ), ქართული ოცნება (ერთხელ), მემარცხენე ალიანსი (ორჯერ), დემოკრატიული მოძრაობა (ორჯერ), შენების მოძრაობა (ორჯერ) და დამოუკიდებელი კანდიდატები კობა დავითაშვილი, გრიგოლ გეგელია, გელა ლილუაშვილი.

გადაცემა „**სადამოს სტუდიის**“ ფარგლებში განთავსდა დებატები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. ჭიათურის მერობის კანდიდატებმა.


გადაცემას **დამოს სტუდია** სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (რვაჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა (ორჯერ), ტრადიციონალისტები (ორჯერ) და დ/კ იოსებ კობერიძე.



გადაცემას „სოციალური თემატიკა“ სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (ორჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), მოძრაობა სოციალური სამართლიანობისთვის (ერთხელ), მემარცხენე ალიანსი (ერთხელ) და დ/კ სოფიო ხორგუანი.



გადაცემა „დღის ბოლოს“ წამყვანები არიან საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები დავით თარხან–მოურავი და ირმა ინაშვილი.

„ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „პალიტრა TV“ (Palitra News)

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 34.7%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 33.5%, ევროპულ საქართველოს - 20%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 36.1%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 33.4%, ევროპულ საქართველოს - 20.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პალიტრა News“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „360“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ოცდაოთხჯერ),

ევროპული საქართველო (ცხრაჯერ), შენების მოძრაობა (ექვსჯერ), რესპუბლიკელები (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ოთხჯერ), თავისუფალი დემოკრატები (სამჯერ), დემოკრატიული მოძრაობა (სამჯერ), დ/კ ლევან იოსელიანი (სამჯერ), პატრიოტთა ალიანსი (ორჯერ), თავისუფალი საქართველო (ერთხელ), დაიცავი საქართველო (ერთხელ), კანონი და სამართალი (ერთხელ).


გადაცემას “7vs1” საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ ქართული ოცნება (ერთხელ), დემოკრატიული მოძრაობა (ერთხელ) კანონი და სამართალი (ერთხელ) და დ/კ ლევან იოსელიანი (ერთხელ).



გადაცემას „შუადღის სტუდია“ სტუმრობდნენ: დემოკრატიული მოძრაობა (სამჯერ), ქართული ოცნება (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ორჯერ), ევროპული საქართველო (ერთხელ), კანონი და სამართალი (ერთხელ), თავისუფალი საქართველო (ერთხელ), ახალი მემარჯვენეები (ერთხელ) და დ/კ კობა დავითაშვილი (ერთხელ).



გადაცემას „NEWSROOM“ სტუმრობდნენ: ევროპული საქართველო (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ორჯერ), ქართული ოცნება (ერთხელ), დემოკრატიული მოძრაობა (ერთხელ), ახალი მემარჯვენეები (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პალიტრა News“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 31.8%, ევროპულ საქართველოს - 26.5%, ქართულ ოცნებას – 21.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ევროპულ საქართველოს - 27.3%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 25.5%, ქართულ ოცნებას – 20.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ზარიერი“ სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), გირჩი (ათჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (რვაჯერ), შენების მოძრაობა (ექვსჯერ), თავისუფალი დემოკრატები (ექვსჯერ), სამოქალაქო მოძრაობ (ერთხელ), თავისუფალი საქართველო (სამჯერ), ევროპული საქართველო (ერთხელ), დამოუკიდებელი კანდიდატი დავით ჭიჭინაძე (ერთხელ), დამოუკიდებელი კანდიდატი ლევან კობერიძე (ერთხელ) და კანონი და სამართალი (ერთხელ). **გადაცემის წამყვანის განცხადებით საარჩევნო სუბიექტებმა უარი განაცხადეს დებატების პროგრამაში მონაწილეობაზე.**



გადაცემას „სპექტრი“ სტუმრობდნენ: თავისუფალი საქართველო (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ), პატრიოტთა ალიანსი (ერთხელ) და ქართული ოცნება (ერთხელ).




მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტოკ ტვ“

„ტოკ ტვ“-ს ეთერში სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებს დრო არ დათმობიათ.

„ტოკ ტვ“-ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივი-პოლიტიკურ პროგრამას საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტოკ ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტოკ ტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.toktv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტოკ ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

შპს „ტელეარხი 25“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 47.8%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 42.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 50%, ქართულ ოცნებას – 43.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„ტვ 25“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივი პოლიტიკური პროგრამა „საზოგადოებრივი პოზიცია“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (ოთხჯერ), პატრიოტთა ალიანსი (ორჯერ), დ/კ როლანდ აბულაძე (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატები შედგა ქართული ოცნების და გაერთიანებული ოპოზიციის შორის, პატრიოტთა ალიანსისა და ქართულ ოცნებას შორის, დ/კ როლანდ აბულაძესა და გაერთიანებული ოპოზიციის შორის. ამასთან, გადაცემის წამყვანის განცხადებით სხვადასხვა გადაცემაში მოწვევის მიუხედავად საარჩევნო სუბიექტებმა მონაწილეობა არ მიიღეს.




„ტვ 25“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივი პოლიტიკური პროგრამა „სათვალე“, რომლის ფარგლებშიც საეთერო დრო დაეთმო ქართული ოცნების, გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატებს და დ/კ როლანდ აბულაძეს.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ 25“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ 25“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv25.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ 25“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 65.8%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 10.9%, დ/კ ვახტანგ რობაქიძეს – 10.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 56.2%, თავისუფალ საქართველოს – 16.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„არგოს“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტები ან/და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „არგოს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„არგოს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.argotv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„არგოს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 69.2%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 17.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 76.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„იმერვიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამა „სათვალე“, რომლის ფარგლებშიც დრო დაეთმო ქართული ოცნების და გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატებს.




გადაცემას „მთავარი თემა“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ), დ/კ ნოდარ ჩაჩანიძე (ერთხელ) და დ/კ დავით ჭუმბურიძე (ერთხელ).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმერვიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმერვიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (<http://www.imervizia.tv>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმერვიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**ააიპ „თავისუფალი მედია სივრცე“
(გურია)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 76.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 74%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„გურიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამა „სათვალე“, რომლის ფარგლებშიც დრო დაეთმო ქართული ოცნების და გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატებს.




გადაცემას „თქვენთან ერთად“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ერთხელ), თავისუფალი საქართველოს (ერთხელ), დ/კ ტოგო ჭელიძე (ერთხელ) და დ/კ კაკო თავდუმაძე (ერთხელ). გადაცემის წამყვანის განცხადებით სხვა საარჩევნო სუბიექტებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.guria.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.





შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 49.6%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 31.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 55.6%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 32.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).




„თანამგზავრის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივი-პოლიტიკურ პროგრამა „**დიალოგი**“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ერთხელ), ლეიბორისტული პარტია (ერთხელ). ამავე გადაცემაში შედგა დებატები ქართული ოცნებისა და ლეიბორისტული პარტიის წევრებს შორის.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „თანამგზავრის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„თანამგზავრის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tanamgzavri.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„თანამგზავრის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.







შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 50%, ევროპულ საქართველოს - 18.1%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 16.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 49.6%, ევროპულ საქართველოს - 18.6%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 16.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„რიონის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„ობიექტური აზრი“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ევროპული საქართველო (ექვსჯერ), ქართული ოცნება (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია (სამჯერ) და გირჩი (ორჯერ).




გადაცემას **„თემა“** სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ორჯერ), თავისუფალი საქართველო (ორჯერ), ევროპული საქართველო (ერთხელ) და მოძრაობა სოციალური სამართლიანობისთვის (ერთხელ). ამავე გადაცემის ფარგლებში დებატეი შედგა თავისუფალი საქართველოს და მოძრაობა სოციალური სამართლიანობისათვის წარმომადგენლებს შორის. გადაცემის წამყვანის განცხადებით სხვა საარჩევნო სუბიექტებმა უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რიონის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რიონის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rionitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რიონის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „იმპერია“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 45.2%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 29.2%, თავისუფალ საქართველოს - 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 44.3%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 28.5%, თავისუფალ საქართველოს - 13.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).




„მეცხრე არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „**დიალოგი**“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ერთხელ) და ევროპული საქართველო (ერთხელ).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეცხრე ტალღის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეცხრე არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv9news.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეცხრე არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 41.8%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 29.6%, თავისუფალ საქართველოს - 13.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).




საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 45.1%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 27.1%, თავისუფალ საქართველოს - 15.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„მეგა ტვ-ის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „**დისკურსი**“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია (ოთხჯერ), ევროპული საქართველო (ოთხჯერ), გირჩი (ოთხჯერ), თავისუფალი საქართველო (ორჯერ) და ქართული ოცნება (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეგა ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეგა ტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.megatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეგა ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 65.3%, ქართულ ოცნებას – 25.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 56.7%, ქართულ ოცნებას – 27.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„ოდიშის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „დიალოგი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ).




გადაცემას „არჩევნები 2019“, საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა გაერთიანებული ოპოზიცია (სამჯერ), პატრიოტთა ალიანსი (ერთხელ), დ/კ თენგიზ ჯგუშია (ორჯერ), დ/კ დავით თორდია (ერთხელ), დ/კ დომენტი-ზვიად სიჭინავა (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ოდისის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ოდისის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.odishi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ოდისის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“

(ტვ 4)


საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გაერთიანებულ ოპოზიციას – 32.4%, ქართულ ოცნებას – 29.3%, დ/კ ვახტანგ რობაქიძეს – 26.7%, თავისუფალ საქართველოს – 11.4%, (იხ. დიაგრამა).



„ტვ 4“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ღია ეთერი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ და დებატებში მონაწილეობა მიიღეს: გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ), ქართული ოცნება (ერთხელ), ევროპული საქართველო (ერთხელ), დ/კ ალი ზადიროვი (ერთხელ), თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, ქვემო ქართლის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ 4“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (<http://tvkvemokartli.ge>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ 4“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „მარნეული ტვ“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 61%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 19.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 51.2%, გაერთიანებულ ოპოზიციას – 35.7%, თავისუფალ საქართველოს - 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მარნეული ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ღია ეთერი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა და დებატებში მონაწილეობა მიიღეს: გაერთიანებული ოპოზიცია (ერთხელ), ევროპული საქართველო (ერთხელ) და დ/კ ალი ბადიროვი (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მარნეული ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მარნეული ტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.Marneulitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მარნეული ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

